# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N36/კ

ქ. მცხეთა                                                                 30 ივნისი **2014** წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში" შემსყიდველი") წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, N1260 კონკურსში გამარჯვებული შპს „მანისტუდიო", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ მაისურაძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –"ხელშეკრულება") შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხრანში, წმინდა გიორგის უბანში დასაპროექტებელი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. (CPV71200000)

დასრულებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ერთად, კონკურსანტი წარმოადგენს ექსპერტიზის და გეოლოგიურ დასკვნებს რომლის ღირებულება ანაზღაურდება კონკურსანტის მიერ.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 18644 (თვრამეტიათას ექვსასორმოცდაოთხი)ლარს.

## 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისია.

3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისგან.

## 4. მომსახურების მიწოდების ვადები და პირობები.

4.1 დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ექსპერტიზის დასკვნის და გეოლოგიური დასკვნის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2014 წლის 25 ივლისის ჩათვლით.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

## 6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარში.

6.2 გადახდის ფორმა უნაღდო.

6.3 წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნილი თანხის შესაბამისი საბანკო გარანტია;

6.4 ავანსი არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 50%-ს.

5 ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

### 7.ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

### 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

### 10. სუბკონტრაქტორები

10.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

### 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ს.

ამ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მომწოდებლის" საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

### 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### 15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

### 16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

### 17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

### 18. გადასახადები და დაზღვევა

18.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### 19. გარანტია

19.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისის ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

19.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

### 20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი

მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
20.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 22. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მცხეთის მუნიციპალიტეტი

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7
ს/კოდი: 236094196
სს „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE93LB0120130269077000

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გ. ატაშვილი

მიმწოდებელი

შპს „მანისტუდიო"

მის: ქ. თბილისი, გუჯარეთის ქ.N34
ს/კოდი: 406116206
სს „თი ბი სი" ბანკის საბურთალოს ფილიალი

ბანკის კოდი: TBCBGE22
GE60TB 76 5993 6050 1000 03

დირექტორი

ნ. მაისურაძე